საქართველოს რაგბის კავშირის
გამგეობის სხდომის

ოქმი

16 თებერვალი, 2023 წ. | სასტუმრო „მარიოტი თბილისი“

ესწრებოდნენ:
გამგეობის წევრები:

- მერაბ ანთაძე (დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
- კობა გიორგაძე (დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
- თორნიკე გოგებაშვილი (დაბადებული 16.01.1989 წ.; პირადი № 12001014781)
- აკაკი დავითულიანი (დაბადებული 01.06.1975 წ.; პირადი № 12001031106)
- ზვიად თავართქილაძე (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01029001924)
- დავით კაჭარავა (დაბადებული 16.01.1985 წ.; პირადი № 01035000140)
- გიორგი კობახიძე (დაბადებული 23.11.1953 წ., პირადი № 01011021299)
- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- გრიგოლ ქერაშვილი (დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი № 35001058678)
- გელა ქობულაძე (დაბადებული 30.04.1986 წ.; პირადი № 61006019618)
- ალექსანდრე ხვედელიძე (დაბადებული 21.10.1965 წ.; პირადი № 01014002287)
- გივი ჭიჭინაძე (დაბადებული 02.07.1959 წ.; პირადი № 01009002077)

სხდომის მომწვევი: დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე: დავით კაჭარავა

სხდომის მდივანი: ნატალია კურტანიძე

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:

- გუგა აბაშიძე, სრკ-ს HR კონსულტანტის, კომპანია „სიგმას“ წარმომადგენელი
- თამარ გიორგობიანი, სრკ-ს კადრების სამსახურის ხელმძღვანელი
- ედუარდ ნაჭყებია, სრკ-ს იურისტი
- შალვა ხაბულიანი, სრკ-ს მაღალი მიღწევების ადმინისტრატორი

სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შემავალი შემდეგი საკითხები:
1) დიდი 10-ის, პირველი და ესპუართა ლიგების საპრიზო ფონდის ოდენობა და განაწილება;
2) რეგიონული (მეორე) ლიგის სამონაწილეო თანხის კორექტირება;
3) ეროვნული ნაკრების მორაგბეებზე კომპენსაციების გაცემის წესის კორექტირება;
4) სრკ-ს განახლებული სტრუქტურის მიმოხილვა;
5) 2022 წლის 14 ივლისის სრკ-ს გამგეობის დისტანციურ გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება

სხდომამ გადაწყვიტა:

პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა **დიდი 10-ის, პირველი და ესპუართა ლიგების საპრიზო ფონდის ოდენობა და განაწილებას,** სრკ-ს აღმასრულებელი დირექტორის თორნიკე გოგებაშვილის მოხსენება განუმარტა დამსწრეებს, რომ პირველი ლიგის ფორმატის შეცვლის შედეგად, რომელიც გახდა დიდი 10-ის იდენტური, ფლეიოფის მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა 4-დან 6-მდე; შესაბამისად, წარმოიშვა არსებული საპრიზო ფონდის განაწილების წესის გადახედვის საჭიროება.
მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრებმა დაადგინეს, რომ **პირველი ლიგის ფონდი დარჩეს უცვლელი: 150 000 (ასორმოცდაათი) ლარი, და განაწილდეს ფლეიოფში გასულ ექვსივე გუნდზე შემდეგნაირად:**

I ადგილი	**45 000** (ორმოცდახუთი ათასი) ლარი
II ადგილი	**35 000** (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი
III ადგილი	**25 000** (ოცდახუთი ათასი) ლარი
IV ადგილი	**20 000** (ოცი ათასი) ლარი
V ადგილი	**15 000** (თხუთმეტი ათასი) ლარი
VI ადგილი	**10 000** (ათი ათასი) ლარი

ესპუართა ლიგასთან დაკავშირებით, გამგეობის წევრებს განემარტათ, რომ ამ ლიგის საპრიზო ფონდი წარმოიშვა სეზონის დასაწყისში ამ ლიგის საბაზო დაფინანსების გაცემის წესის შეცვლის გამო. 2022-2023 წწ. სეზონში **ესპუართა ლიგის საპრიზო ფონდმა შეადგინა 100 000 (ასი ათასი) ლარი**. მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ **ესპუართა ლიგის საპრიზო ფონდის განაწილება უნდა მოხდეს შემდეგნაირად:**

I ადგილი	**40 000** (ორმოცი ათასი) ლარი
II ადგილი	**35 000** (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი
III ადგილი	**25 000** (ოცდახუთი ათასი) ლარი

ამასთანავე, გამგეობის წევრებმა იმსჯელეს დიდი **10-ის საპრიზო ფონდზე - სულ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი** და გადაწყვიტეს 2022-2023 წწ. სეზონში **დიდი 10-ის საპირზო ფონდის განაწილების წესი უცვლელად დაეტოვებინათ:**

I ადგილი	**160 000** (ასსამოცი ათასი) ლარი
II ადგილი	**110 000** (ასათი ათასი) ლარი
III ადგილი	**85 000** (ოთხმოცდახუთი ათასი) ლარი
IV ადგილი	**65 000** (სამოცდახუთი ათასი) ლარი
V ადგილი	**45 000** (ორმოცდახუთი ათასი) ლარი
VI ადგილი	**35 000** (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი

ყველა ზემოთაღნიშნული ლიგის საპრიზო ფონდის განაწილების წესი დამტკიცდა ერთხმად.

მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა **რეგიონული (მეორე) ლიგის სამონაწილეო თანხის კორექტირებას**, სრკ-ს აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე გოგებაშვილმა განუმარტა გამგეობის წევრებს, რომ რეგიონული ლიგის მონაწილეთა შემონატანები ვეღარ ფარავდა მატჩების ორგანიზებისთვის საჭირო სერვისების ღირებულებას, რის გამოც დადგა აღნიშნული ლიგის სამონაწილეო თანხის გაძვირების საჭიროება.
გამგეობის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და ერთხმად გადაწყვიტეს, რომ **რეგიონული ლიგის სამონაწილეო გადასახადი განისაზღვროს გუნდზე 2000 (ორი ათასი) ლარით. სრკ-ს შესაბამის სამსახურებს დაევალათ საშეჯიბრო დებულების შესაბამისი დანართის რედაქტირება და გუნდებისთვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება.**

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა **ეროვნული ნაკრების მორაგბეებზე კომპენსაციების გაცემის წესის კორექტირებას**, გამგეობის წევრებს განემარტათ, რომ მორაგბეებზე კომპენსაციების გაცემის წესის განახლების საჭიროება განაპირობა ქართული რაგბის მაღალი მიღწევების ვერტიკალზე ბოლო წლებში მომხდარმა ცვლილებებმა. შესაბამისად, საქართველოს რაგბის კავშირმა საჭიროდ ჩათვალა კომპენსაციის წესის გაცემის კორექტირება ისე, რომ ეროვნული ნაკრების ყველა წევრს კვლავ სამართლიან და თანაბარ პირობებში მიეღო კუთვნილი კომპენსაციები.

მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს ეროვნული ნაკრების წევრებზე კომპენსაციის გაცემის წესის ახალი რედაქცია.

აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც ძალაში შედის დაუყოვნებლივ, წარმოდგენილია დანართში.

დღის წესრიგის **მეოთხე საკითხად**, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს HR-კონსულტანტის კომპანია „სიგმას“ გუგა აბაშიძის მოხსენება **საქართველოს რაგბის კავშირის სტრუქტურაში** ოპტიმიზაციის მიზნით **შეტანილი ცვლილებების შესახებ**. გამგეობის წევრებს განემარტათ, რომ სტრუქტურა სრულად არაა დაკომპლექტებული და სრკ-ს ჯერაც აქვს ვაკანსიები სხვადასხვა თანამდებობებზე, თუმცა აღნიშნული ცვლილებები საშუალებას აძლევს რაგბის კავშირს უფრო ეფექტურად უპასუხოს დასახულ ამოცანებს. **შემოთავაზებული სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობამ დაამტკიცა ერთხმად; განახლებული სტრუქტურა ძალაში შევა 2023 წლის 1 აპრილიდან.**

დღის წესრიგის **მეხუთე საკითხად**, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს გამგეობის მდივნის ნატალია კურტანიძის განმარტება მასზედ, რომ 2022 წლის 14 ივლისის სრკ-ს გამგეობის დისტანციურ გადაწყვეტილებაში შეცდომით იყო აღნიშნული გამგეობის თავმჯდომარის დავით კაჭარავას დაბადების თარიღი. **გამგეობის წევრებმა დაადგინეს, რომ გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი და დავით კაჭარავას პირადი მონაცემები ჩაიწეროს შემდეგნაირად:**

- დავით კაჭარავა (დაბადებული 16.01.1985 წ.; პირადი № 01035000140)

სხდომის დასასრულს, სრკ-ს გამგეობის წევრებმა იმსჯელეს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა

- გამგეობის წევრთა წარმომადგენლობითი ფუნქციები;
- რეგიონული რაგბის განვითარება;
- სრკ-ს მარკეტინგული პოლიტიკა, მერჩენდაიზინგი და კომერციული აქტივობები, სპონსორებთან თანამშრომლობა, გულშემატკივრებთან ურთიერთობა;
- სარაგბო ინფრასტურქტურის განვითარება და მოვლა, საქართველოს მთავრობის ჩართულობა აღნიშნულ საკითხში და კლუბების მოვალეობები;
- მაღალი მიღწევები და სანაკრებო მიმართულება, ოლიმპიურ კომიტეტთან თანამშრომლობა;
- რეგისტრირებულ მორაგბეთა რაოდენობის დინამიკა;
- ბავშვთა რაგბის განვითარების პოლიტიკა;
- ქართული კლუბების საჭიროებები და მათი გაძლიერების გზები;
- საქართველოს ჩემპიონატის მომსახურება და ა.შ.

ხელმოწერები

მერაბ ანთაძე _____

კობა გიორგაძე _____

თორნიკე გოგებაშვილი _____

აკაკი დავითულიანი _____

ზვიად თავართქილაძე _____

დავით კაჭარავა _____

გიორგი კობახიძე _____

იოსებ ტყემალაძე _____

გრიგოლ ქერაშვილი _____

გელა ქობულაძე _____

ალექსანდრე ხვედელიძე _____

გივი ჭიჭინაძე _____

** ოქმი დაამოწმა დისტანციურად*